განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

<u>შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი</u>

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
გიორგი ნებიერიძე
წევრ(ებ)ი:
ციალა გაგნიძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404587185

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი, გლდანი-ნაძალადევი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ხუდადოვის 1ბ
საფოსტო ინდექსი	0101
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://greenschool.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@greenschool.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577404711

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 ივნისის ბრძანება № MES 5 26 0000766535.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 16 და 17 ივლისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 ივლისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 ივნისის ბრძანება № MES 5 26 0000766535-ის საფუძველზე.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სკოლას წინასწარ გაეგზავნა გასაცნობად. ვიზიტის მიზანი იყო სკოლის მიერ ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების შესრულების შეფასება. ვიზიტი განხორციელდა საქმიან, თანამშრომლობაზე ორიენტირებულ და მშვიდ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამის პროცესებს, მათ შორის: სკოლის მისიის, ხედვისა და მართვის სისტემას; ადამიანური რესურსების მართვას; სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მდგომარეობას.

ვიზიტის პროცესში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ დირექტორს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს. საერთო ჯამში, ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა ორგანიზებულად, თანამშრომლობით და ეფექტიან გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
600	585

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი სისტემურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საზღვარგარეთ გამართულ თემატურ საზაფხულო ბანაკებში (მათ შორის, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში), ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმსა და საგანმანათლებლო ღონისძიებაში. გარდა ამისა, სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ საერთაშორისო გამოცდებს და აგრძელებენ სწავლას უცხოურ უნივერსიტეტებში. საუკეთესო პრაქტიკად უნდა შეფასდეს ასევე სკოლის მიდგომა პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. სკოლა წლის განმავლობაში საგნობრივი მიმართულებით გამორჩეულ მასწავლებელს სრული დაფინანსებით უზრუნველყოფს საზღვარგარეთ სამუშაო შეხვედრებსა და პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობით.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს მწვანე სკოლა - ტყის კამპუსს არგუმენტირებული პოზიცია არ წარმოუდგენია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის სამინისტროსთან შეთანხმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.05.2027- მდე).*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ**
ინდიკატორი N 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 3.6.2.4	სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	**შესრულებულია**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა თანმიმდევრულად ეხმიანება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად საყრდენებს. ეროვნული მიზნები აქცენტს აკეთებს თავისუფალი, დამოუკიდებელი, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებაზე. სკოლის ხედვა კი ცხადად ირეკლავს სწორედ ამ ღირებულებით ორიენტირებს. ხაზგასმა „დემოკრატიულ “, „ჰუმანურ “და „მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის“ განზომილებებზე პირდაპირ შეესაბამება ეროვნული მიზნების პიროვნულ-სამოქალაქო კომპონენტთან, ხოლო „ცოდნაზე ორიენტირებულობა“ და „გლობალურად მოაზროვნეობა“-შემეცნებით და თანამედროვე, კონკურენტუნარიან განზომილებასთან. რაც შეეხება მისიას („ხარისხიანი განათლების მეშვეობით, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად უკეთესი მომავალი თაობის აღზრდა“) ლოგიკურად ავსებს ხედვას და ადგენს კავშირს განათლების ხარისხსა და საბოლოო შედეგს-მომზადებულ,პასუხისმგებელ თაობას-შორის. მისიაში აქცენტი „სასკოლო საზოგადოებასთან ერთად“თანამშრომლობით პრინციპზე მიუთითებს, რაც შეესაბამება ეროვნული მიზნების ჩართულობისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის იდეას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 2026 წლის 22 მაისის სამუშაო ჯგუფის N1 სხდომის ოქმი, რომლითაც დადასტურდება, რომ სკოლამ ფილოსოფიის რევიზია განახორციელა არა ფორმალურად, არამედ შინაარსობრივი გააზრებით. ოქმში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ გაანალიზდა დოკუმენტის „შესაბამისობა სწავლა-სწავლების პრაქტიკასთან, სკოლის კულტურასთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან“. ეს მიუთითებს, რომ დაწესებულებას აქვს გაცნობიერებული კავშირი საკუთარ ფილოსოფიასა და ეროვნულ საგანმანათლებლო ჩარჩოს შორის და ეს კავშირი პერიოდულ გადახედვას ექვემდებარება. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურებითაც გამოჩნდა აღნიშნული პროცესები, რომელშოც ჩართული იყვნენ ადმინისტრაციის, მასწავლებელთა,

მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები (სულ 8 წევრი), ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კონსენსუსით (8 მომხრე, 0 წინააღმდეგი). ეს პროცედურული მხარე თავად ასახავს დემოკრატიულ და ჩართულობაზე დაფუძნებულ სასკოლო კულტურას, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს სკოლის ღირებულებებსა და ეროვნულ მიზნებს შორის შესაბამისობას. რევიზიის შედეგად მისია და ღირებულებები გახდა უფრო ლაკონური და პრაქტიკულად გამოყენებადი, რაც მიუთითებს დოკუმენტის სიცოცხლისუნარიანობასა და ფუნქციურობაზე. **1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიაში ხაზგასმული „სასკოლო საზოგადოებასთან ერთად“ თანამშრომლობითი ფორმულირება მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ თავს აღიქვამს არა იზოლირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ საზოგადოებრივ, სოციალურ სივრცედ, სადაც ყველა მხარე (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაცია) თანამონაწილეა. ამ თვითაღქმას განსაკუთრებით აძლიერებს ფილოსოფიის რევიზიის ოქმი: სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პრაქტიკაში ასახავს ინკლუზიურ, ჩართულობაზე დაფუძნებულ სოციო-კულტურულ მოდელს. თავად სახელწოდება „ტყის კამპუსი “და დეკლარირებული „ინოვაციური მიდგომები წარსული გამოცდილების გათვალისწინებით“ ასევე მიანიშნებს გამორჩეულ სოციო-კულტურულ იდენტობასა და გარემოზე. **1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოდგინა კითხვარები. დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ ჩართულობა არ იყო ფორმალური ან შერჩევითი, არამედ მოიცავდა სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითად სეგმენტს _ მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და თანამშრომლები. ეს დიფერენცირებული მიდგომა მიუთითებს, რომ სკოლამ გააზრებულად შეაგროვა თითოეული ჯგუფის პერსპექტივა. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვა სხვა შეკითხვებთან ერთად უშუალოდ ეხებოდა ფილოსოფიის კომპონენტებს: მაგალითად, სასკოლო საზოგადოების წევრებს ეკითხებოდნენ, ეთანხმებოდნენ თუ არა სკოლის არსებულ მისიასა და ხედვას, ასევე რა უნდა ყოფილიყო სკოლის მთავარი პრიორიტეტი მომდევნო 7 წლის განმავლობაში და რომელ ღირებულებას (გუნდურობა, პროფესიონალიზმი, ტოლერანტობა და ა.შ.) მიიჩნევდნენ ყველაზე მნიშვნელოვნად. ეს ცხადყოფს, რომ საზოგადოების აზრი მიზანმიმართულად შეგროვდა სწორედ მისიის, ხედვისა და ღირებულებების საკითხებზე. **1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

შპს „მწვანე სკოლა-ტყის კამპუსის“ დოკუმენტაცია-კერძოდ კითხვარის შედეგების ანალიზი, პედაგოგიური საბჭოს N5 ოქმი და სამუშაო ჯგუფის რევიზიის ოქმი იძლევა ცხადად მტკიცებულებას იმისა, თუ რამდენად არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რეალურად გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. **1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებებს სკოლის დერეფანში. ასევე სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის, ხოლო სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის ვებ-გვერდზე. **1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული სახელწოდებით, დაწესებულება რეგისტრირებულია როგორც „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი“. აღნიშნული ფორმულირება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას. **1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფოლისოფია;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- კითხავრები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

შპს „მწვანე სკოლა-ტყის კამპუსის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია მეთოდოლოგია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად, რომელშიც პირდაპირ და სისტემურადაა ჩაშენებული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. მაგალითად, წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისიწნებს:

- **თანამონაწილეობის პრინციპს**-სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფის ფორმატით, სადაც წარმოდგენილია დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები;
- **პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება**-ცალკე გამოყოფილი პრინციპია, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებას და მათ ჩართვას პროცესებში;

- **ინფორმაციის შეგროვება** -დაგეგმვის პირველ ეტაპზევე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისგან მონაცემების შეგროვება, რაც ქმნის საზოგადოებრივი აზრის დაგეგმვაში ასახვის შესვლის წერტილს;
- **SWOT ანალიზი**-ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება, რაც ძლიერი/სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებით ქმნის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ საფუძველს ახალი სამოქმედო გეგმისთვის. მნიშვნელოვანია, დოკუმენტს მიღმა იმ პროცესების იმპლემენტაცია სასკოლო ცხოვრებაში. მაგალითად, წარმოდგენილი კითხვარები (მონაცემთა შეგროვების მექანიზმი), სამუშაო ჯგუფის რევიზიის ოქმი (თანამონაწილეობის მექანიზმი) და პედაგოგიური საბჭოს N5 დამტკიცება (გამჭვირვალობა/ანგარიშვალდებულება) სწორედ ამ მეთოდოლოგიაში აღწერილი მექანიზმების პრაქტიკული რეალიზაციაა. **1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ცხადად მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (2023–2030 წწ.), რაც სრულ თანხვედრაშია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნასთან. მნიშვნლოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის რევიზიის ოქმი, რომელიც მეთოდლოგიაში გაწერილ იმპლემენტაციის ნაბიჯებს ადასტურებს. ინდიკატორის მოთხოვნა რომ „სტრატეგიული გეგმა უნდა გამომდინარეობდეს სკოლის ფილოსოფიიდან“, სწორედ ფილოსოფიის ცვლილებამ განაპირობა გეგმის გადახედვის აუცილებლობა. ეს აჩვენებს ცოცხალ, ფუნქციურ კავშირს ფილოსოფიასა და სტრატეგიას შორის-არა მხოლოდ ფორმალურ მითითებას. რაც შეეხება მისიასთან თავსებადი მიზნები და შესაბამისს ამოცანებს გეგმა შეიცავს სამ ძირითად სტრატეგიულ მიზანს (მიმართულებას), რომელთაგან თითოეული პირდაპირ ემსახურება მისიის-„ხარისხიანი განათლების მეშვეობით უკეთესი მომავალი თაობის აღზრდა“-რეალიზაციას და დაშლილია კონკრეტულ ამოცანებად. მაგალითად, პროგრამების შემუშავება/განახლება/დანერგვა; მრავალფეროვანი დამატებითი პროგრამების შეთავაზება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და ა.შ.

წარმოდგენილი ორი დოკუმენტის ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2023–2030), ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას (მისია, ხედვა, ღირებულებები), ხოლო მისი შინაარსი მოიცავს მისიასთან თავსებად სტრატეგიულ მიზანს, თითოეული-შესაბამისი კონკრეტული ამოცანებით. ფილოსოფიაზე დაფუძნებულობასა და ციკლურობას პრაქტიკულად ადასტურებს რევიზიის ოქმი N2, სადაც ფილოსოფიის ცვლილებამ პირდაპირ განაპირობა გეგმის განახლება.**1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი (2026-2027 სასწ.წელი) სამოქმედო გეგმა, რომელიც პირდაპირ ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას და ინარჩუნებს მასთან სრულ სტრუქტურულ თანხვედრას-სამივე სტრატეგიული მიმართულება (განათლების ხარისხის გაუმჯობესება, რესურსების გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება) სამოქმედო გეგმაში დაშლილია კონკრეტულ, გაზომვად აქტივობებად, პასუხისმგებელი პირებით, ვადებით, შედეგის მტკიცებულებებითა და რესურსებით. ეს ცხადყოფს ლოგიკურ იერარქიულ კავშირს „სტრატეგიული მიზანი-წლიური აქტივობა“ და ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმა სტრატეგიის ინსტრუმენტია. გეგმა ასევე ითვალისწინებს SWOT ანალიზს, რაც აძლიერებს მის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ხასიათს. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარები, რომელიც თვითშეფასების ფუნქციური მექანიზმია, რომლის შედეგებიც (პროფესიული განვითარების, ინფრასტრუქტურის, არაფორმალური განათლებისა და უსაფრთხოების საჭიროებები) უშუალოდ აისახება წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამის აქტივობებში. **1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილი სკოლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებთან/ამოცანებთან შესაბამის აქტივობებს, გაზომვად შესრულების ინდიკატორებს, დროში დაზუსტებულ რეალისტურ ვადებსა და კონკრეტულ პასუხისმგებელ პირებს/ერთეულებს, ასევე მიუთითებს თითოეული აქტივობისთვის საჭირო რესურსების ტიპებს. მაგალითად, სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების აქტივობას ერთვის მტკიცებულება „ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება, ოქმები და ინდივიდუალური გეგმები“, ხოლო ახალი შენობის აშენების აქტივობას-„აშენებული შენობა“. სხვა აქტივობებზე მითითებულია კურიკულუმები, ანგარიშები, ფოტო/ვიდეო მასალა, ხელშეკრულებები, კითხვარების ანალიზი და მონიტორინგის შედეგები. ეს მტკიცებულებები დამოწმებადი და გაზომვადია, რაც იძლევა ინდიკატორის დადებითად შეფასების შესაძლებლობას. **1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კითხვარები;
- რევიზიის ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მაგალითად,

- სუბიექტი: მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
- პერიოდულობა: ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი მიმდინარეობს წლის განმავლობაში პერიოდულად, ხოლო წლის ბოლოს ხდება საბოლოო შეფასება; შვიდწლიანი გეგმა ფასდება ყოველი ციკლის ბოლოს.
- ინსტრუმენტები: დაკვირვება/შეფასება, პასუხისმგებელ პირთა წერილობითი ანგარიშები, სპეციალური ცხრილი-სტატუსებით „შესრულდა / ნაწილობრივ შესრულდა / არ შესრულდა“, სამუშაო ჯგუფის სხდომა, SWOT ანალიზი.
- უკუკავშირი და საჯაროობა: შედეგების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე, ელფოსტით, სოციალური ქსელითა და საჯარო განხილვებით.
- კორექტირება: მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებული გეგმის/მიზნების გადახედვა და რევიზიის მექანიზმი.

ეს აჩვენებს სისტემურობას: დაგეგმვა-შესრულება-მონიტორინგი-ანალიზი-კორექტირება. რაც შეეხება მეთოდოლოგიაში გაწერილ აქტივობებს, აქაც სკოლამ წარმოადგინა მათი იმპლემენტაცია სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ-სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფის ოქმი, რომელიც შედგებოდა სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლისგან. ასევე გეგმის შესრულების შედეგების ამსახველი დოკუმენტში ყველა აქტივობა დაჯგუფებულია სამი სტრატეგიული

მიმართულების, ამოცანებისა და აქტივობების მიხედვით, თითოეულს კი მინიჭებული აქვს სტატუსი: აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია, ხოლო სამი აქტივობა შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესრულდა“. ეს ცხადყოფს, რომ შეფასება არ არის ფორმალური სისტემა ობიექტურად ასახავს არა მხოლოდ წარმატებებს, არამედ ხარვეზებსაც, რაც შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი ხდება. **1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ მიერ წარმოდგენილი კითხავრები, პედაგოგიური საბჭოს ოქმი (N7) ადასტურებს, რომ სკოლა მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას და ამ პროცესში სისტემურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს-ოთხი მიზნობრივი კითხვარით შეგროვებული მონაცემები ინტეგრირებულია მონიტორინგში, გამოყენებულია ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის რევიზიისთვის და აისახება ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებში (პედსაბჭოს ოქმი N7). სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს არა მხოლოდ შიდა სამუშაო ჯგუფის მიერ, არამედ სისტემურად აქცევს მასში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. მაგალითად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ეყრდნობა ოთხ ცალკე სამიზნე ჯგუფზე მორგებულ კითხვარს, რაც უკუკავშს ხდის მოქნილს-ერთი და იმავე პროცესის დანახვას სხვადასხვა პერსპექტივიდან. **1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მასთან დაკავშირებული მონიტორინგისა და უკუკავშირის მასალები ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია საჯაროობის უზრუნველყოფის მკაფიოდ ინსტიტუციონალიზებული, დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმი, რომელიც სპეციალურად ეხება გეგმების შესრულების შედეგებს და არა მხოლოდ თავად გეგმებს, ხოლო სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია წარმოადგენს გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის დადასტურებას. **1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

შპს ,,მწავე სკოლა-ტყის კამპუსის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად იყენებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს შემდგომი განვითარებისთვის

მონიტორინგის ანალიზი, SWOT და პასუხისმგებელ პირთა ანგარიშები გარდაიქმნება ახალი პრიორიტეტებად და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმად (2026 - 2027), რაც ინსტიტუციურად დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს ოქმით N7. სკოლის ადმინისტრაციისა და დირექციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებიც ცხადყოფს, რომ სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი და შესრულებული აქტივობების შედეგები წარმოადგენს სკოლის შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრის მნიშვნელოვან საფუძველს.**1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კითხვარები;
- პედსაბჭოს ოქმი;
- რევიზიის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურა და სკოლის დებულება განსაზღვრავს დაწესებულების მართვის სისტემას, სტრუქტურულ ერთეულებსა და მათ იერარქიულ მოწყობას. დებულების თანახმად, სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა საერთო კრებას, სკოლის დირექციას, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და პედაგოგიურ პერსონალს. გარდა ამისა, ორგანიზაციულ სტრუქტურაში დეტალურადაა წარმოდგენილი შესაბამისი თანამდებობები და მათი დაქვემდებარება. დებულებით განსაზღვრულია, რომ პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს, ხოლო სკოლის დირექციის შემადგენლობა, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის სტრუქტურა, მათი კომპეტენციები და საქმიანობის წესი რეგულირდება სკოლის დებულებითა და დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით. ამავე დებულებით დადგენილია, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. გარდა ამისა, სკოლა გარე მომსახურების ფორმით უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, იურიდიული და IT მომსახურებით, რაც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაციული და მართვის პროცესების ეფექტიან განხორციელებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის ორგანიზაციული სტრუქტურის, სკოლის დებულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების ანალიზით, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების, თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობის სფეროები მკაფიოდ არის განსაზღვრული. **3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურის, სკოლის დებულების, თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განაწილებული. მართვის სისტემაში განსაზღვრულია როგორც სტრატეგიული, ისე ოპერაციული და საგანმანათლებლო ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულების კოორდინირებულ საქმიანობას. დირექტორი უზრუნველყოფს სკოლის საერთო მართვას, ხოლო დირექტორის მოადგილეები პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი მიმართულებების: დაწყებითი, საბაზო-საშუალო და ადმინისტრაციული საქმიანობის კოორდინაციაზე. ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს ფინანსური, ადამიანური რესურსების, კომუნიკაციის, დოკუმენტბრუნვისა და ადმინისტრაციული პროცესების მართვას, ხოლო პედაგოგიური პერსონალი, მათ შორის მასწავლებლები, მასწავლებლის ასისტენტები, ტუტორები, სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. ტექნიკური და უსაფრთხოების პერსონალი ქმნის უსაფრთხო და გამართულ ფიზიკურ გარემოს.
ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს მართვის პროცესების კოორდინირებულ განხორციელებას, გადაწყვეტილებების ეფექტიან მიღებასა და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ ორგანიზებას.
3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „მწვანე სკოლა - ტყის კამპუსის“ დებულება;
- შპს „მწვანე სკოლა - ტყის კამპუსი“ სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამშრომლის კონკურსის ჩატარების წესი. სკოლის დებულება განსაზღვრავს სკოლის მართვის სისტემას, სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციასა და უფლებამოსილებებს, ხოლო შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსისა“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, განხორციელებისა და შეწყვეტის წესს, სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის პირობებს, წახალისების ფორმებს, დისციპლინურ პასუხისმგებლობას, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, თანამშრომელთა შერჩევის, განვითარების, შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმებს, ხოლო თანამშრომლის კონკურსის ჩატარების წესი ადგენს ვაკანტური პოზიციების კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პროცედურებისა და კანდიდატების შერჩევის წესს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი შიდა რეგულაციების შესაბამისად. თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან შიდა რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნების, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ხოლო პერსონალის შერჩევის, დასაქმების, საქმიანობის ორგანიზებისა და შრომითი ურთიერთობების მართვის პროცესები პრაქტიკაში ხორციელდება დადგენილი წესების დაცვით. **3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პერსონალის საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება. სკოლაში სისტემატურად ტარდება სასკოლო

საზოგადოების წევრთა გამოკითხვები. მიღებული მონაცემები გამოიყენება შესაბამისი სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესის პრევენციულ ხასიათს და ხელს უწყობს პოტენციური გამოწვევების დროულ პრევენციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი მასალების (ბრძანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის წარმოშობის შემთხვევაში სკოლა დროულად ახორციელებს ინტერვენციას და კვალიფიციური კადრის შერჩევის მიზნით აცხადებს ღია კონკურსს. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლა იყენებს ოპერატიულ ინტერვენციულ მექანიზმებს. კერძოდ, მასწავლებლის არყოფნისას სასწავლო საათები ნაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. **3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამშრომლის კონკურსის ჩატარების წესი და პერსონალის შერჩევის პროცესთან დაკავშირებული კონკურსების ამსახველი მასალები. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს, მათ შორის ვაკანტური პოზიციის შევსების, კანდიდატების შერჩევის, საკონკურსო პროცედურების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნებისა და კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. კონკურსის პროცედურები ითვალისწინებს კანდიდატების შეფასებას დადგენილი წესით (საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად) საკონკურსო კომისიის ჩართულობასა და მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებას. ვაკანტური პოზიციების არსებობის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებასა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობას. მასწავლებლის ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად კონკურსის შესახებ ინფორმაცია

ქვეყნდება დასაქმების ვებგვერდზე teacherjobs.ge, სადაც განთავსებულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კანდიდატების მოზიდვას და შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას. კონკურსების ამსახველი მასალების (ბრძანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები) ანალიზით დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი ხორციელდება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და თანასწორი შესაძლებლობების პრინციპების დაცვით. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ნასამართლობის ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისად დადასტურდა, რომ პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებულია კონკრეტული პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენციები. **3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის შესახებ ინფორმაცია, თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ამჟამად სკოლაში დასაქმებულია 120 თანამშრომელი, მათ შორის 58 მასწავლებელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული სტატუსები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, მასწავლებლებს დადასტურებული აქვთ შესაბამისი სტატუსი: უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი, მენტორი და მოწვეული მასწავლებელი. ასევე, ერთი მასწავლებელი ჩართული იყო მასწავლებლის მაძიებლობის პროგრამაში, რომლის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია სკოლას წარდგენილი ჰქონდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. სკოლას თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრული აქვს შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესის შესაბამისობას პოზიციის ფუნქციებთან და პასუხისმგებლობებთან. არსებული დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები აკმაყოფილებენ მათ მიერ დაკავებული პოზიციებისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელთა შერჩევის პროცესის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალები (ბრძანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები), ასევე გადამოწმდა სკოლის მიერ ვაკანსიების განთავსების

პრაქტიკა დასაქმების ელექტრონულ პლატფორმაზე teacherjobs.ge. აღნიშნული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა დროულად აცხადებს კონკურსს და უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების მოზიდვასა და შერჩევას. **3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის სხდომების ოქმები, რომელთა შესწავლისა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ თანამშრომლობითი მიდგომით, რეგულარულად იკრიბებიან, განიხილავენ აქტუალურ საკითხებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს აფორმებენ შესაბამისი ოქმებით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ზრდის მათ პასუხისმგებლობას სკოლის საქმიანობის მიმართ. საგნობრივი კათედრების საქმიანობის ანალიზით დადგინდა, რომ კათედრის წევრები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას, ერთობლივად გეგმავენ სასწავლო აქტივობებსა და პროექტებს. ამასთან, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ინტეგრირებული და ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების საქმიანობა უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კოლეგიურ განხილვას. **3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები. აღნიშნული მექანიზმები მიმართულია თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და წარმატებული საქმიანობის აღიარებისკენ. სკოლის დირექციასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა, რაც გამოიხატება თანამშრომელთა მიღწევების აღნიშვნითა და წახალისებით. კერძოდ, წარმატებული საქმიანობისა და განსაკუთრებული წვლილისთვის თანამშრომლებს გადაეცემათ სიგელი ან სერტიფიკატი. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წარმატებული გამოცდილების გაზიარებას. წლის განმავლობაში საგნობრივი მიმართულებით გამორჩეულ მასწავლებელს სკოლა უზრუნველყოფს საზღვარგარეთ სამუშაო შეხვედრებსა და პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობით, მათ შორის შესაბამისი ხარჯების სრული დაფინანსებით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას, მიღებული გამოცდილების გაზიარებას კოლეგებისთვის და სკოლაში განვითარებაზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას. **3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის პროფესიული განვითარების 2025 წლის გეგმა და 2026-2027 სასწავლო წლის პროფესიული განვითარების სტრატეგიული გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ანალიზს, კვლევის შედეგებს, მონიტორინგისა და საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების მონაცემებს. სკოლის საჭიროებების კვლევის ფარგლებში გაანალიზდა მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლების საჭიროებები, რის საფუძველზეც გამოვლინდა პროფესიული განვითარების მიმართულებები, მათ შორის დიფერენცირებული სწავლება, ინკლუზიური განათლება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, რთული ქცევის მართვა და მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამის აქტივობებს, ვადებს, სამიზნე ჯგუფებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ასევე, დაგეგმილია განხორციელებული ღონისძიებების შეფასება მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე. **3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განვითარების ღონისძიებები დაგეგმილია პერსონალის საჭიროებების, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების, კვლევისა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. შემუშავებული გეგმა მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა დიფერენცირებული სწავლება, ინკლუზიური განათლება, ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში, რთული ქცევის მართვა, უსაფრთხოების საკითხები და სასკოლო

საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია მიზანი, განხორციელების ფორმა, სამიზნე ჯგუფი, ვადები და მოსალოდნელი შედეგები. **3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა მიზანმიმართულად უწყობს ხელს პერსონალის კარიერულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებას, რაც წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. ადმინისტრაცია რეგულარულად იკვლევს თანამშრომელთა საჭიროებებს და მიღებული მონაცემების საფუძველზე გეგმავს შესაბამის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. სკოლის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებსა და პროფესიულ პროექტებში, რაც ხელს უწყობს მათი კომპეტენციების გაძლიერებასა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობების გაზრდას. მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, განავითარონ პროფესიული პრაქტიკა და განახორციელონ კარიერული წინსვლა, მათ შორის უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსების მიმართულებით. სკოლა ხელს უწყობს არა მხოლოდ პედაგოგიური პერსონალის, არამედ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებასაც. მაგალითად, ბიბლიოთეკარი მონაწილეობს შესაბამისი მიმართულების ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების აქტივობებში. შესაბამისად, დაწესებულება ქმნის პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების მხარდამჭერ გარემოს, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ზრდასა და სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. **3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ახალი თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის, შინაგანაწესის, სამუშაო პროცესებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს თანამშრომლების სწრაფ ადაპტაციასა და სამუშაო გარემოში ეფექტიან ინტეგრაციას. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები, საგნობრივი კათედრები და სამუშაო ჯგუფები უზრუნველყოფენ თანამშრომელთა პროფესიულ ურთიერთთანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებასა და კოლეგების მხარდაჭერას. პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მიიღონ მხარდაჭერა კოლეგებისა და ადმინისტრაციისგან და მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ საქმიანობებში. სკოლის მიერ შექმნილი გუნდური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო ხელს უწყობს ახალი და არსებული თანამშრომლების ინტეგრაციას, სამუშაო პროცესებში ჩართულობასა და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას. **3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, პროფესიული განვითარების გეგმებისა და შინაგანაწესის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ქმნის თანამშრომლების პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერისა და განვითარების შესაძლებლობებს. პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებსა და სხვადასხვა პროფესიულ აქტივობაში, ასევე გაუზიაროს კოლეგებს საკუთარი გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომელთა ინიციატივები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ახალი მეთოდების დანერგვას, პროფესიულ განვითარებასა და სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას, მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან. სკოლაში განხორციელებული პროფესიული განვითარების ღონისძიებები, შიდასასკოლო სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა და თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების აღიარების მექანიზმები ხელს უწყობს პერსონალის განვითარებისკენ მიმართული ინიციატივების წახალისებას. **3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პროფესიული განვითარების გეგმა 2025; 2026-2027;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის პოლიტიკა და ხარისხის მართვის წლიური გეგმა (2025-2026), რომლებიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და განხორციელების მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (PDCA - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). ხარისხის მართვის წლიური გეგმა შემუშავებულია ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით და მოიცავს სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიმართულებებს. გეგმით განსაზღვრულია სკოლის ძირითადი მიზნები, მათ შორის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა და უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ხორციელდება ეტაპობრივად და მოიცავს წინა წლის შედეგების ანალიზს, სასწავლო პროცესის მონიტორინგს, გაკვეთილებზე დაკვირვებასა და უკუკავშირის მიწოდებას, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზს, სასკოლო დოკუმენტაციის შეფასებას, საჭიროებების იდენტიფიცირებას, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სკოლა იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის გაკვეთილზე დასწრების ოქმებს, შეფასების რუბრიკებს, ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგს, კითხვარებს, ფოკუს-ჯგუფებსა და აკადემიური შედეგების ანალიზს.

მიღებული მონაცემები გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. **3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესწბულებაში მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. ძირითადი პროცესები დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან, მათ შორის სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, კურიკულუმების განვითარებასთან, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგთან და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებასთან. დამხმარე პროცესები მოიცავს ადამიანური რესურსების მართვას, პერსონალის პროფესიულ მხარდაჭერას, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან გამოყენებას, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე ადმინისტრაციული პროცესების მართვას. ხარისხის მართვის წლიური გეგმით განსაზღვრულია აღნიშნული პროცესების განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების ინსტრუმენტები. პროცესების შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება გამოვლენილი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისთვის. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები ორგანიზებულია სისტემურად და მათი მართვა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად. **3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის განსაზღვრული სისტემა. აღნიშნული წესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის წარდგენის, რეგისტრაციის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, ასევე პასუხისმგებელი პირები, განხილვის ვადები და პროცესის ძირითადი პრინციპები. დოკუმენტი ეფუძნება ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს და ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმებს. წესის მიხედვით,

განცხადების/საჩივრის წარდგენა შესაძლებელია სკოლის ადმინისტრაციისთვის წერილობითი ფორმით, საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის უფლებამოსილი პირები/სტრუქტურული ერთეულები, განხილვის ვადები და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. ასევე, დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრებისა და მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის სპეციალურ პროცედურებს. **3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია დაინტერესებული პირების მიერ განცხადებისა და საჩივრის წარდგენის, განხილვისა და შესაბამისი რეაგირების პროცედურები. აღნიშნული მექანიზმები ვრცელდება სკოლის თანამშრომლებზე, მოსწავლეებზე, მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებზე და ეფუძნება ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით“ განსაზღვრულია საჩივრის წარდგენის ფორმა და წესი, განხილვის ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმები და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომლებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებას, მიმართონ სკოლას მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და მიიღონ შესაბამისი რეაგირება. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომელთა შრომით ურთიერთობებს, მათ უფლებებსა და ვალდებულებებს, სამუშაო პირობებს, დისციპლინურ საკითხებსა და საჩივრების განხილვის ზოგად პროცედურებს, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და დაცული სამუშაო გარემოს შექმნას. პერსონალსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებისა და სკოლისთვის მიმართვის პროცედურების შესახებ. **3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

- თანამშომელთა ხელშეკრულებები;
- განცხადების და საჩივრის განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა კრებების ჩატარებას, რომლის ფარგლებშიც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის, სასკოლო სასწავლო გეგმის, შეფასების სისტემის, სახელმძღვანელოების, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებისა და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში ასევე რეგულარულად ხორციელდება დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების შეხვედრები მშობლებთან, სადაც ინდივიდუალურად განიხილება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, მიმდინარე სასწავლო საკითხები და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები. მშობლები და მოსწავლეები სისტემატურად იღებენ ინფორმაციას სასკოლო პროცესებთან, ღონისძიებებსა და დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა იყენებს ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვან არხებს, მათ შორის სოციალურ ქსელს (Facebook), სადაც შეთანხმებული წესების შესაბამისად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული სიახლეები, განცხადებები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში გაერთიანებული არიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ შორის, განიხილავს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ასევე მონაწილეობს მასში ცვლილებების განხორციელების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებს შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს. კათედრების ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობითი საქმიანობა, მათ შორის სახელმძღვანელოების შერჩევა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება და პროფესიული უკუკავშირის გაცვლა, აგრეთვე შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზი და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლა ასევე უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის ჩართულობას. კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობენ სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას. მოსწავლეთა ჩართულობის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ სკოლაში ტრადიციული ფორმით არ ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა მოსწავლეთა მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში ხორციელდებოდა ასამბლეის ტიპის შეხვედრების საშუალებით. აღნიშნული ფორმატი მოსწავლეებს აძლევდა შესაძლებლობას, გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები, დაეფიქსირებინათ საჭიროებები და მონაწილეობა მიეღოთ სასკოლო საკითხების განხილვაში. გარდა ამისა, საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა სკოლის დირექტორს წერილობით მიმართეს მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნის ინიციატივით, რაც ადასტურებს მოსწავლეთა დაინტერესებას სასკოლო მართვის პროცესებში უფრო აქტიური მონაწილეობის მიღების მიმართულებით. ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობის მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა მხარის მონაწილეობას და სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებას. **3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა განცხადება თვითმმართველობის შექმნის შესახებ
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლამ წარმოადგინა შპს „მწვანე სკოლა - ტყის კამპუსის“ უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებსა და პასუხისმგებლობებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურთან (№ MIA 02402945414; 25.09.2024). სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლამ მიმართა უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს - შპს „ზნიეპის“ მიერ მომზადებული ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში (ინსპექტირების პერიოდი: 20.08.2024 - 19.09.2024), აღნიშნული დასკვნის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ექსპლუატაციის პროცესში საფრთხის შემცველი გარემოებები არ იკვეთება და შენობის ექსპლუატაცია დასაშვებია.

გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგსა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობას. **3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას აგრეთვე აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც დამტკიცებულის დირექტორის ბრძანებით. სამედიცინო კაბინეტს ემსახურება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, რომლის პირად საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და სახელმწიფო სერტიფიკატი (ნებადართული სპეციალობა - ინფექციური სნეულებები), რაც ადასტურებს მისი პროფესიული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა სამედიცინო კაბინეტი და გაესაუბრა სკოლის ექიმს. დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტში რეგულარულად იწარმოება კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური ფორმები და ჟურნალები, რაც სრულად შეესაბამება ზემოაღნიშნული ერთობლივი ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. **3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები, რომელთა ფუნქციებში შედის სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვის მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირების განხორციელება. სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა დადგინდა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი ამჟამად სამინისტროსთან შეთანხმების პროცესშია და სკოლას შესაბამის უწყებასთან წარმოებული აქვს ოფიციალური კომუნიკაცია აღნიშნული პროცედურის დასრულების მიზნით.

<u>**დაწესებულებამ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ვიზიტისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.06.2026 - 31.05.2027. სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის სამინისტროსთან შეთანხმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.05.2027- მდე).**</u>

სკოლაში ფუნქციონირებს ცენტრალიზებული დაცვის სისტემა, ხოლო სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 111 ვიდეო-სათვალთვალო კამერა, რაც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის უწყვეტ მონიტორინგს, შესაძლო რისკების დროულ გამოვლენასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ასევე დადგინდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ჭიშკარი ესაზღვრება კერძო საცხოვრებელ სახლს, რომელსაც ალტერნატიული მისასვლელი გზა არ გააჩნია. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კერძო საკუთრების მფლობელის გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე ხორციელდება მხოლოდ დაცვის სამსახურის თანამშრომლის თანხლებითა და კონტროლის ქვეშ, რაც წარმოადგენს სკოლის მიერ დანერგილ დამატებით უსაფრთხოების მექანიზმს და ემსახურება სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. **3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლამ წარმოადგინა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნის პრინციპებსა და შესაბამის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას, სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას, ასევე სასწავლო პროცესის განმავლობაში სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შემცველი

გარემოებების პრევენციასა და მათზე დროულ რეაგირებას. სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს წინასწარ შემუშავებული სამუშაო გეგმის შესაბამისად. ფსიქოლოგი ჩართულია მოსწავლეთა მხარდაჭერის, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარებისა და სასკოლო საზოგადოების ფსიქოემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობის პროცესში. **3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულები არიან დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მისი დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო სკოლა სარგებლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურებით, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცესების სამართლებრივ მხარდაჭერასა და მონიტორინგს. სკოლაში დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გამოყენებისა და დაცვის საკითხებს. აღნიშნული წესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. გარდა ამისა, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. **3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების შესახებ არსებული ინფორმაცია. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და დაცვის პროცედურებს და უზრუნველყოფს მონაცემების უსაფრთხო მართვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვისა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. ამასთან, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არაავტორიზებული წვდომისა და მონაცემების დაზიანების პრევენციას. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ზედამხედველობს მონაცემთა დაცვის პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობას და ინფორმაციის დაცვის მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას. **3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელთა შესრულებაზე ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი. შეფასების პროცესში გამოიყენება პასუხისმგებელი პირების ანგარიშები, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული დაკვირვებები, თანამშრომლებისა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი, ასევე სიმულაციური სავარჯიშოებისა და პრაქტიკული ღონისძიებების შედეგები. წარმოდგენილი პროფესიული განვითარების გეგმით ასევე გათვალისწინებულია უსაფრთხოების მიმართულებით პერსონალის რეგულარული გადამზადება, მათ შორის პირველადი დახმარებისა და სახანძრო უსაფრთხოების პრაქტიკული სწავლება და ევაკუაციის სიმულაციები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში მათი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. **3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- შრომის უსაფრთხოების გეგმა და პოლიტიკა;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ექიმის წლიური ანგარიში 2025-2026;
- ინფორმაციის დაცვის მექანიზმი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა №1ბ-ში მდებარე ხუთსართულიან შენობაში. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (27/05/2026) და იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დასტურდება, რომ უძრავი ქონება შპს „მწვანე სკოლა უძრავი ქონების“ საკუთრებაშია, ხოლო შპს „მწვანე სკოლა“ აღნიშნული ქონებით სარგებლობს 2021 წლის 24 ივნისიდან 10 წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს ავტორიზაციის ვადის განმავლობაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი შეესაბამება ავტორიზაციის მოთხოვნით განსაზღვრულ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას (600 მოსწავლე) და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას შესაბამისი კონტინგენტისათვის. ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით, ე.წ. „ჭკვიანი დაფებით“, მასწავლებლის სამუშაო სივრცითა და სწავლებისთვის საჭირო ინვენტარით. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს სპორტულ დარბაზს, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, სამედიცინო კაბინეტს, რესურსოთახს, სამასწავლებლოს, ადმინისტრაციულ და სხვა დამხმარე სივრცეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. გარდა ამისა, სკოლას აქვს სამი გარე სპორტული მოედანი, რომელთაგან ერთ-ერთი ზამთრის პერიოდში სპეციალური ტენტით იფარება, რაც სპორტული აქტივობების უწყვეტად განხორციელებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ადგილზე დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღიც. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2026 წლის 14 ივლისის №3-045-26 ბრძანებით „ფართის გამიჯვნის შესახებ“ სკოლისა და საბავშვო ბაღის ტერიტორიები ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული და იზოლირებული, რაც უზრუნველყოფს თითოეული დაწესებულების დამოუკიდებელ ფუნქციონირებას, უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებასა და საგანმანათლებლო პროცესების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმართვას. გარდა ამისა, სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობს ერთი ახლად აშენებული შენობა, რომელშიც ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული შენობა მზადდება სკოლის ახალი კამპუსის ფუნქციონირებისთვის და მისი გამოყენება იგეგმება დაამომავლო ავტორიზაციის ფარგლებში. ამასთან, მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ შენობაში მოსწავლეებს უტარდებოდათ ცალკეული სასწავლო აქტივობები. აღნიშნული გარემოება გადამოწმდა სკოლის დირექციასთან, რომელმაც განმარტა, რომ შენობის რამდენიმე ოთახი დროებით გამოიყენებოდა მხოლოდ დამატებითი საკლუბო და საწრეო საქმიანობის

განსახორციელებლად და არა ძირითადი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, **3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საერთო სარგებლობის სივრცე, რომლებიც განკუთვნილია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია: გარე სივრცე (თავისუფალი გაკვეთილებისათვის), კომპიუტერული ოთახები, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაციას; საბუნებისმეტყველო საგნებისთვის განკუთვნილი ოთახი; სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, ასევე, სამასწავლებლო. სკოლის სააქტო დარბაზი, ფოიე, დერეფნები და ეზო წარმოადგენს მრავალფუნქციურ სივრცეებს, რაც იძლევა სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. მაშასადამე **3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სასკოლო ბიბლიოთეკის მასალების შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია სკოლის საკუთრებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი (ბეჭდური, ელქტრონული, ფოტო და ვიდეო-მასალა). შესაბამისი დებულებით და გეგმით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკის მიზნები: საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით. საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ბიბლიოთეკის მკითხველთა უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციით. ბიბლიოთეკაში ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ რეესტრში. **3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. შენობა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. კერძოდ, შენობის გეგმარება უზრუნველყოფს ეტლით მოსარგებლე პირის თავისუფალ გადაადგილებას ყველა სართულსა და სასწავლო სივრცეში, მოწყობილია ადაპტირებული სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი, ხოლო სასწავლო კაბინეტები სრულად ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის. ვიზიტის პერიოდში სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე არ ირიცხებოდა, თუმცა დაწესებულებას შექმნილი აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული პირობები მათი მიღებისა და

სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სკოლას შეძენილი აქვს ეტლით მოსარგებლე პირის გადაადგილების სპეციალური დამხმარე მოწყობილობა, რაც დასტურდება წარმოდგენილი შესყიდვისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით და ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული დამატებითი ტექნიკური საშუალებით. შესაბამისად, **3.5.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში შექმნილია მრავალფუნქციური გარემო, რომელიც, სასწავლო პროცესის გარდა, უზრუნველყოფს მოსწავლეთა სოციალური, კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებას. ამ მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ასევე სამი გარე სპორტული მოედანი, რომლებიც გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების, პროექტისა და სპორტული აქტივობის ჩასატარებლად. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლაში რეგულარულად იმართება კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სპორტული ღონისძიებები, რომელთა დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. **3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- რესურსების შესწიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. დაწესებულება აღჭურვილია სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის და გამოიყენება სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობისა და შიდა კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. საკლასო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის ინტერაქტიული („ჭკვიანი“) დაფებით, კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით, ხოლო ადმინისტრაციულ პერსონალსა და პედაგოგებს აქვთ წვდომა მათ საქმიანობაში აუცილებელ საინფორმაციო სისტემებსა და ტექნიკურ რესურსებზე. წარმოდგენილი მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი განსაზღვრავს აღნიშნული რესურსების გამოყენების, ხელმისაწვდომობისა და დაცვის პირობებს, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანი და მიზნობრივი გამოყენების ორგანიზებას.

3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში განთავსებულია საზიარო სამუშაო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის. აღნიშნული სივრცე იძლევა შესაძლებლობას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისთვის საშინაო დავალებების მოსამზადებლად, პრეზენტაციების შესაქმნელად, ონლაინ ჟურნალში მუშაობისთვის, ასევე ტრენინგებისა და სხვა სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. კომპიუტერული ტექნიკის სწორი ფუნქციონირების, ტექნიკური მხარდაჭერისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის IT მენეჯერი. დაწესებულება ხელმძღვანელობს დადგენილი წესის შესაბამისად. **3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, აღრიცხვის, შესრულების კონტროლის, შენახვის, არქივირების, კორესპონდენციის მიღებისა და გაგზავნის, ასევე ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტების მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საქმისწარმოების პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის

საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სისტემატურად აღირიცხება, ინახება და მუშავდება დადგენილი წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის გამჭვირვალობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, შესრულების კონტროლსა და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვას. **3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში დანერგილია საკუთარი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულად აღირიცხება და იმართება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, ასევე შემოსული და გასული კორესპონდენცია. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტების რეგისტრაციის, აღრიცხვის, შესრულების კონტროლისა და არქივირების ეფექტიან ორგანიზებას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლაში დოკუმენტბრუნვა ხორციელდება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, ხოლო დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, შესრულების კონტროლისა და შენახვის ერთიანი მოთხოვნები ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე, მათ შორის ელექტრონულ დოკუმენტებზე. ამასთან, ელექტრონულად მიღებული დოკუმენტების რეგისტრაცია და დამუშავება ხორციელდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტისა და დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, მოქმედი წესის შესაბამისად. სკოლას ასევე აქვს ელექტრონული ფოსტა (info@greenschool.edu.ge), რომლის საშუალებით მიმდინარეობს სკოლაში როგორც მიმდინარე ინფორმაციის, ისე დოკუმენტების მიღება და გაგზავნა. გარდა ამისა, სკოლა იყენებს საკუთარ ელექტრონულ ჟურნალს (E-School), რომლის საშუალებითაც ხორციელდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოება, მოსწავლეთა დასწრების, შეფასებებისა და აკადემიური მიღწევების აღრიცხვა, ასევე ინფორმაციის ოპერატიული გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. **3.6.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. **3.6.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულება აქტიურად იყენებს ელექტრონულ ფოსტასა და სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებს ოფიციალური კორესპონდენციის წარმოებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით. დადგინდა, რომ სკოლა, საჭიროებისამებრ, აგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და მათთან თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წარმოდგენილი კორესპონდენცია ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის, ანგარიშებისა და დოკუმენტაციის დროულ წარდგენას, ასევე აქტიურად რეაგირებს შესაბამისი უწყებების რეკომენდაციებსა და მოთხოვნებზე. **3.6.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- პროგრამული პროდუქტის შექმნისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის ხელშეკრულება;
- Eschool -ის და ელ.ფოსტის - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://greenschool.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც

რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების ამსახველი სიახლეები. დამრიგებლის სამუშაო გეგმა განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. **3.6.3.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (https://greenschool.ge/) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ოფიციალური ვებ -გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების (სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანკეტები; შეხვედრის ოქმები.) შესწავლით და ადმინისტრაციასთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ კომუნიკაციის სხვადასხვა არხის, მშობლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მოსწავლეებთან, საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას გამოავლინოს საჭიროებები, შეაფასოს არსებული ვითარება და დაგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. უკუკავშირის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში. **3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (https://greenschool.ge/). სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები), სტრუქტურა, დებულება, შინაგანაწესი, მოსწავლის ჩარიცხვის წესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, საჩივრის წარდგენის წესი, მედიაციის მარეგულირებელი წესი, 2023 - 2030 წლების სტრატეგიული გეგმა, 2026 - 2027 წლების სამოქმედო გეგმა, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და ფინანსური ანგარიშგება. ამასთან, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმებისა და სკოლის საკონტაქტო მონაცემების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის. **3.6.3.5. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის (https://greenschool.ge/) დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის, მათ შორის ფინანსური მდგრადობის დოკუმენტის (სკოლის ბიუჯეტი 2026), ასევე ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადახდილი სწავლის საფასური, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის ფინანსური რესურსების განკარგვა ხორციელდება მიზნობრივად და მიმართულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებასა და სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაზე. **3.7.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულებაში დანერგილია ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს. ფინანსური რესურსების დაგეგმვა ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, ხოლო ფინანსური სახსრების განკარგვა ეფუძნება მიზნობრიობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ფინანსური რესურსების გამოყენებაზე მიმდინარეობს სისტემატური მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების კონტროლს, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. **3.7.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფინანსური მდგრადობის დოკუმენტ;
- ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა რეგულაციების, მათ შორის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის წესების, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და შესაბამისი გარანტიების განხორციელება. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, თანასწორი მოპყრობის, უსაფრთხო და

ღირსებაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის, გასაჩივრებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის მექანიზმებს, რაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. **4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

კლასის დამრიგებელი/ტუტორი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, ქცევის კოდექსს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მოსწავლეთა უფლებეის დაცვის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სასკოლო რეგულირების გამჭირვალობას. ამ დოკუმენტის მიხედვით მოსწავლის მშობლის უფლებაა ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რათა უზრუნველყოს ბავშვის უფლებების დაცვა/რეალიზება. შესაბამისად, **4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ინდივიდუალური პერსონალაურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ფორმები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან. **4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (პროექტი).

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის''. სკოლის eschool ბაზა მოწესრიგებულია, პროცესები მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციების დაცვით. შესაბამისად. **4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს აღნიშნულ მექანიზმს, Eschool-ის ბაზაში ასახულია მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება თუ შეწყვეტა. Eschool-ის დათვალიერებით და მოსწავლეთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ პროცესი მიმდინარეობს აღნიშული წესის მიხედვით. იწარმოება ბრძანებებისა თუ შემოსული/გასული კორესპონდენციების ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალები, გაიცემა ცნობები საჭიროებისა და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში. სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები დასტურდება მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებებით დადგინდამ რომ ინფორმირებულნი არიან სკოლაში არსებულ მომსახურეობის სახეების, პირობებისა თუ სერვისების შესახებ. სკოლას აქვს საკლუბო მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა სარგებლობის შესახებ ინფორმაციას სრულყოფილად ფლობს სასკოლო საზოგადოება. დამრიგებლების/ტუტორის მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **4.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები/ტუტორები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. შესაბამისად, **4.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- Eschool;
- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსს აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ადაპტაციის წესი არეგულირებს ამ პროცესის მიმდინარეობის ეტაპებს, ადაპტაციის განმსაზღვრელ ფაქტორებს, წარმატებული/წარუმატებელი ადაპტაციის ნიშნებს, გასცემს გასათვალისწინებელი რეკომენდაციების სიას მშობლებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ადაპტაციის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა პრაქტიკული მექანიზმები: მაგალითად, ახალ მოსწავლეებს სხვადასხვა საგაკვეთილო სესიების შემდეგ აქვთ ფსიქოლოგთან და ტუტორთან შეხვედრები, სადაც ისინი იღებენ პირად მხარდაჭერას, რჩევებს და საჭირო დახმარებას. ასევე, მშობლებთან ინიცირდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც განიხილება ადაპტაციის სტადიები, ბავშვის სოციალური და ემოციური საჭიროებები და

გასაცემი რეკომენდაციები, რათა მშობლებმა შეძლონ აქტიური ჩართულობა პროცესში. **4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის ძირითად ეტაპებს უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი/ტუტორი. გასული სასწავლო წლის მაგალითზე, სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეებმა წარმატებით გაიარეს ადაპტაციის პერიოდი. ფსიქოლოგი საჭიროების შემთხვევაში ჩართული იყო პედაგოგთა მხარდაჭერის მიმართულებით. მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, პედაგოგებისა და ფსიქოლოგის დადებითი როლი მოსწავლეების ადაპტაციის პროცესში. ექსპერტთა ვიზიტისას სკოლაში ირიცხებოდა 18 სსსმ მოსწავლე. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით და სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. შესაბამისად, **4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოსწავლეებთან გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ მათი აკადემიური მიღწევები მხარდაჭერილია მასწავლებლების მხრიდან, გამოვლენილი სირთულების შესაბამისად იღებენ შესაბამის საგნობრივ თუ სადამრიგებლო კონსულტაციას. სკოლის ადმინისტრაცია გარკვეული პერიოდულობით ატარებს პედაგოგებისა და მოსწავლეების გამოკითხვას, წარმოდგენილია კითხვარი. გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაცია ეცნობა პედაგოგთა მოსაზრებებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებისა და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შესახებ. **4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს სივრცე სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მოსაწყობად. მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, **4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის მიერ შეთავაზებულია მხარდამჭერი გარემო მათი ინიციატივების წამახალისებლად. კერძოდ, სკოლაში მომავალი წლიდან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინიციატიით იქმნება მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის ადმინისტრაციის და საგნის პედაგოგების მხარდაჭერით მოსწავლეებმა შეიმუშავეს და ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე განათავსეს მოსწავლეთა თვითმმართველობის კონსტიტუცია. სასკოლო გარემო კეთილმოწყობილია იმგვარად, რომ ინფრასტრუქტურული და ტექნიკური მხარდაჭერით, კონკრეტული სივრცეების არსებობით. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური აქტივობების განხორციელება. დამრიგებლის/ტუტორების მიერ იგეგმება გასვლითი გაკვეთილები (გაკვეთილები სკოლის ღია სივრცეში, ქალაქში თუ ქალაქგარეთ შემეცნებითი ექსკურსიები. საზაფხულო თემატური ბანაკები საზღვარგარეთ). სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, სადაც იმართება არაფორმალური ტიპის შეხვედრები, ასევე შემოქმედებითი ღონისძიებები. **4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სასკოლო საზოგადოების გამოკითხვების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გადახედავს განხორციელებულ აქტივობებსა და პროცესებს. სკოლის ადმინისტრაცია მხედველობაში იღებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები…) შეფასებებს, აკეთებს რევიზიას და ამის საფუძველზე შეაქვს ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, აღნიშული პროცესი მიმართულია სასკოლო გარემო იმგვარად წარიმართოს, რომ მოსწავლეთათვის გაწეული მომსახურეობა მუდმივად მიმართული იყოს გაუმჯობესებისკენ. **4.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- მედიაციის მარეგულირებელი წესი;
- რემედიაცია - საწყებითი საფეხურის ხელმძღვანელის ანგარიში;
- კითხვარი სასკოლო საზოგადოებისთვის.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მიმართულების განხორციელების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს კარიერის/საუნივერსიტეტო მრჩეველის სამსახური, კარიერის მრჩეველის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, ასევე პროფესიული ორიენტაციის პროგრამა. წარმოდგენილი დოკუმენტები და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები ცხადყოფს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ინტერესების გამოვლენას, სხვადასხვა კარიერული მიმართულებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაცნობას, ინდივიდუალურ კონსულტირებასა და მომავალი აკადემიური გზის დაგეგმვაში მხარდაჭერას. კარიერული მომსახურება ხორციელდება ეტაპობრივად, მოსწავლეთა ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით და მოიცავს პროფესიული ორიენტაციის აქტივობებს, პროფესიული ინტერესების კვლევას, უნივერსიტეტების შერჩევისა და აპლიკაციების მომზადების პროცესში მხარდაჭერას. მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლაში გამოყენებულია პროფორიენტაციის კითხვარი, რომლის შედეგებიც ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის შესაბამისი კარიერული მხარდაჭერის დაგეგმვას. **4.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას კარიერული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობების, შემდგომი განათლების გზებისა და პროფესიული არჩევანის პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების მხარდაჭერას, მათ პროფესიულ ორიენტაციასა და სამომავლო გეგმების განსაზღვრაში შესაბამის დახმარებას. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან არსებული შესაძლებლობების, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და

კარიერული განვითარების პერსპექტივების შესახებ, რაც ხელს უწყობს გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას მომავალი პროფესიული გზის დაგეგმვისას. **4.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დაწესებულება პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, რაც მოიცავს როგორც ინტერვიურებას, ისე ანკეტურ გამოკითხვებს და უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და თანამშრომლების ჩართულობას შეფასების პროცესში. გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ და გამოიყენება სკოლის ძლიერი მხარეებისა და განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების შედეგები არ რჩება ფორმალურ დონეზე, არამედ საფუძვლად ედება მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **4.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კარიერის მრჩევლის სამსახური;
- კითხვარი პროფორიენტაცია მოსწავლეები;
- პროფესიული ორიენტაციის პროგრამა;
- განხორციელებული აქტივობების ფოტო-მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ვიზიტის დროისთვის ირიცხებოდა 18 სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს რესურს-ოთახი. რესურს-ოთახი გამოირჩევა მრავალფეროვანი რესურსებით, მოსწავლეთა მხარდამჭერი პოსტერებითა და ვიზუალური მასალით. გასაუბრებით დგინდება, რომ სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს როგორც სკოლის ფსიქოლოგთან, ისე საგნის პედაგოგებთან, ესწრება გაკვეთილებს, გასცემს უკუკავშირს, ჩართულია სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესებში. სკოლა ხელმძღვანელობს "ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროები მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით". **4.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად სასწავლო წლის მანძილზე პერიოდულად იკრიბება ისგ ჯგუფი, განიხილავს მოსწავლის აქტუალურ მდგომარეობას, განსაზღვრავენ სამომავლო გეგმებსა და საჭირო ცვლილებებს მასთან მუშაობის მიმართულებით. სასკოლო საზოგადოება კეთილგანწყობილია სსსმ მოსწალეების მიმართ, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მათი ინდივიდუალური მახასიათებლები. **4.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2025-2026;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დამატებითი მომსახურებების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს კვების სერვისი, რომლის განხორციელებაც რეგულირდება შესაბამისი კაფეტერიის ხელშეკრულებით. კვების მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლა ახორციელებს კვების ობიექტის მონიტორინგს, რაც დასტურდება წარმოდგენილი კვების ობიექტის მონიტორინგის აქტებით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და შესაბამისი სტანდარტების მქონე კვების სერვისის მიწოდებას. ამასთანავე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და ინტერესებზე დაფუძნებულ აქტივობებს სასკოლო კლუბების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია „სასკოლო კლუბები - აღმოაჩინე შენი ინტერესები“ და სასკოლო კლუბების აღწერა ასახავს კლუბების მიზნებს, მიმართულებებსა და განხორციელების ფორმებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების განვითარებას, არაფორმალურ განათლებაში ჩართულობასა და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღებას. **4.2.4.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით, მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმებული წესითა და პირობებით. ინდიკატორი **4.2.4.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ზემოთჩამოთვლილი სერვისები ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და მიმართულია მოსწავლეთა განვითარებისა და ხელშეწყობისკენ. **4.2.4.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;
- კაფეტერიის ხელშეკრულება;
- კვების ობიექტის მონიტორინგის აქტეები;
- სასკოლო კლუბები - აღმოაჩინე შენი ინტერესები;
- სასკოლო კლუბების აღწერა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 11.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: